

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დამატების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება განპირობა იმ საკითხების სრულყოფილად დარეგულირების აუცილებლობამ, რომელიც ეხება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის საკითხს. დღეს არსებული მდგომარეობით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება არ შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინება/გადაწყვეტილება, რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს. შესაბამისად, ადამიანის უფლებების სრულყოფილად დაცვის მიზნით მიზანშეწონილია აღნიშნული საკითხის მოწესრიგება და ამ უფლების მინიჭება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია, ადამიანის უფლებების სრულყოფილად დაცვის უზრუნველყოფა და საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სატანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წამოდგენილი კანონპროექტის თანახმად კოდექსის 423-ე მუხლის პირველ ნაწილს ემატება „ზ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინება/გადაწყვეტილება, რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს. იმავდროულად კანონს ენიჭება უკუძალა და ამ კანონის მოქმედება ვრცელდება აგრეთვე იმ ფიზიკურ და იურიდულ პირებზე, რომელთაც უარი ეთქვათ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინების/გადაწყვეტილების საფუძველზე, აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებაზე თუ ზემოაღნიშნული პირები სასამართლოს, აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, მიმართავენ ამ კანონის ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ დაეკისრება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

ფინანსურ შედეგებს არ გამოიწვევს

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

არ არის წინააღმდეგობაში ევროკავშირის დირექტივებთან მიმართებაში.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

აღნიშნული პროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: ლაშა თორდია და კახაბერ ანჯაფარიძე.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: ლაშა თორდია და კახაბერ ანჯაფარიძე.